

მძინარე სახლი

ჯერ კიდევ უცნობ გზას მივუყვებოდი. რომ არა შემთხვევით შეხვედრილი, ჩემი ბავშვობის, ძლივს ნაცნობი მეგობარი, ალბათ ცოლ-შვილს კიდევ დიდხანს ვაბორიალებდი ნასამშობლარ მიწაზე და არაა გამორიცხული რუსი ჯარისკაცების ტყვეც გავმხდარიყავი. გაბრაზებული მივდიოდი, მაგრამ ძნელი სათქმელია ზუსტად რაზე ვბრაზობდი, მამა წლები რომ არ მენახა, ჩემს უნახავად რომ გარდაიცვალა თუ მისი უკანასკნელი სურვილის ასრულების, მშობლიური სახლის გაყიდვის გამო სამსახურიდან დათხოვნა რომ მომიხდა.

როგორც კი მშობლიურ ეზო-კარში შევაბიჯე, არც ცოლ-შვილი მახსოვდა და ჩემი აწმყოც, მომატებულ წლებთან ერთად, ხავსმოკიდებულ კარებს მიღმა დარჩა. მოუვლელი, გაველურებული გარემოს მიუხედავად, გამიჩნდა განცდა, თითქოს აქედან არც არასოდეს წავსულვარ. წამის მეათასედში ცოცხლდებოდნენ მოგონებები და უკვე ცარიელ სახლში, განმიახლდა სიძულვილი ყველას მიმართ, ვისაც ოდნავი ბრალი მაინც მიუძღოდა ამ რეალობის შექმნაში. ამასობაში, მამაჩემის საწოლზე დადებულ დედის ფოტოს მოვკარი თვალი, რომლის გვერდითაც წერილი დამხვდა, ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობისდროინდელ, მარკებიან კონვერტში ჩადებული. კონვერტს ზემოდან მოხდენილად ეწერა „ჩემს ერთადერთ და საამაყო ვაჟკაცს, გიორგის“ ყელში ბურთი მომაწვა და ისეთი მოწიწებით გავხსენი, როგორი მოწიწებითაც მისთვის არასდროს შემიხედავს.

„ჩემო გიორგი, არ ვიცი რამდენად შევხვდებით ერთმანეთს და რამდენად გაბედავს ჩემი მოხუცი გული შენი მიტოვების ახსნას. გთხოვ, არ იფიქრო, რომ შენი ქარში მარტო გაშვება ჩემი არჩევანი ყოფილიყოს. აქ უარესი ქარი ქროდა, მამა. სადაც არაა ხალხი, არაა სამშობლო ჩვენ კი მოვალენი ვიყავით საკუთარი ხალხის, ჩვენი შვილების, თქვენი მომავლისათვის აქ დავრჩენილიყავით. იმისათვის, რომ ზაფხულის წვიმასავით უეცრად მოვლენილ უბედურებას, ჩვენი ნაკვალევი არ წაეშალა. არ შეგაწყენ იმ ისტორიების მოყოლით თავს რომელსაც მომავალი აუცილებლად დაამსხვრევს, მაგრამ მინდა იცოდე, სანამ ტკვილის ავტკივლები, სევდას დაგამძიმებ, ყელზე შემოხვეულ სიკვდილის ხელებს ვიგრძნობ და ცხონებულ დედაშენს შევხვდები, ჩემი ფიქრი და დარდი მხოლოდ შენა ხარ, შვილო. მიხარია რომ ძლიერი, განათლებული კაცი დადექი და ვამაყობ შენით. ახლაც შენი სიძლიერის იმედი მაქვს, მამა. ბოდიშს გიხდი რომ ჩემმა მოხუცმა ტვინმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა და სახლის გაყიდვის მიზეზით ჩამოგიტყუე, სახლი შენია, რაც გინდა ის უქენი, მაგრამ მგონია, რომ როცა მძინარე სოფელს შეხედავ და გაზაფხულზე ახლად აფეთქებული ხეები ხელს გამოგიწვდიან - მიხვდები რომ აქაა შენი სახლი. შენ მომავლის ხარ, შვილო, ნუ შეიძულებ ხალხს, მათ არ მოუკლიათ დედაშენი, ხალხი მსხვერპლია, მამა. გთხოვ, გადადგი პირველი ნაბიჯი, რადგან მხოლოდ ურთიერთობები გააერთიანებს საქართველოს და გატეხილ გულსაც მხოლოდ ეს დაგიაძებს“

წერილის კითხვა შემახილმა შემაწყვეტინა, გამახსენდა, რომ სახლის მყიდველი მელოდა. ოთახიდან ინსტიქტურად გამოვედი, ჯერ კიდევ ვგრძნობდი ყელში მოწოლილ ტკივილს, რომელიც ამოხეთქვას ლამობდა. აივანთან შევჩერდი, ეზოში ჩემი შვილები დარბოდნენ, მეზობელ სახლში, მამას მეგობრს, აივანზე უძველესი პატეფონი გამოედგა, ხმა ხარვეზით, მაგრამ მკაფიოდ ისმოდა „საქართველო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არის“ მუხლები მომეკვეთა და კიბეზე ჩავიკეცე, ტკივილს ვერ გავექეცი და მხოლოდ ერთი რამეს ვიმეორებდი

დაუსრულებლად, გთხოვთ, უთხარით რომ არ იყიდება, არ, არ... არ იყიდება... არც არასოდეს
გაიყიდება... არ გაიყიდება... არ... არა...